ხელშეკრულება № 15

დ.მესტია 24.07.2013 წ

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი"-ს დირექტორი ი.ჯაფარიძის სახით (შემდგომში წოდებული როგორც შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მ "ნათელა ნაკანი" მისი დირექტორის ნათელა ნაკანის სახით (შემდგომში წოდებული როგორც მიმწოდებელი), ვხემძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი"-ს სასწავლო პროცესისათვის (მზარეულებისა და მიმტანების ჯგუფებისათვის) საჭირო კვების პროდუქტების შეძენა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 850 ლარს ყველა სახის გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს.

3.2. სამუშაოს შესასრულებლად მასალები მოწოდებული იქნება მომწოდებლის მხრიდან, რომლის ხარისხზე პასუხისმგებლობა. მთლიანად ეკისრება მომწოდებელ ორგანიზაციას

3.3 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი 15 დღე, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მისი მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

4. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 15 დეკემბრამდე შესრულების ადგილი დ.მესტია პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი"-ს

5. შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება მიღება –ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლთა ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ადგილი

6.1. ანგარიშსწორების ფორმა– უნაღდო ანგარიშსწორება.
6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.
6.3. თანხის გადარიცხვა ხორციელდება 100%–ის ოდენობით,ამასთან ყოველი მომდევნო გადარიცხვა განხორციელდება შესრულებულ სამუშაოზე მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება –მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ფორს–მაჟორული სიტუაციები

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით.
8.2. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ფორს–მაჟორული გარემოებით, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
8.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.
8.4. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.5. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 15 დეკემბრამდე
9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება პირობების შესრულებამდე.

10. დავები და მათი გადაწყვეტა

10.1. ორივე მხარე ვალდებულია, წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

10.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავების გადაწყვეტის დადგენილ წესს.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია , აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. მიმწდებელი ვალდებულია , შეუქმნას შემსყიდველ ორგანიზაციას ინსპექტირების განხორციელებისათვის საჭირო ყველა პირობა.

12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი.

სსიპ პროფესიული კოლეჯი
"თეთნულდი"

საიდენ. კოდი 235891512
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი:LBRTGE22
ანგარიშის №GE70LB0115143752416000

დირექტორი ი.ჯაფარიძე

ი.მ "ნათელა ნაკანი"
საიდენ. კოდი 30001004927
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი:LBRTGE22
ანგარიშის
№ GE83LB0711101027605140

დირექტორი ნ.ნაკანი